ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი #31

ქ. თბილისი

25 დეკემბერი 2018 წ.
14:00 სთ.

გარემოს დაცვის კომისიის წევრები:

ერეკლე კუხიანიძე (სხდომის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, გიორგი დოხტურიშვილი,ლევან ხაბეიშვილი.

მოწვეული სტუმრები:

1. საბა ფიფია - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. თამარ ზედელაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.
3. გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
4. ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"(ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის ა/წლის 21 დეკემბრის **#12-0318355197-03** წერილი).

2. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ"

(ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის ა/წლის 12 დეკემბრის **#12-0318344134-03** წერილი).

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისია უფლებამოსილია, რადგან კომისიის სიითი შემადგენლობიდან (8 წევრი) სხდომას ესწრება უმრავლესობა (5 წევრი).

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დააყენა გარემოს დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების საკითხი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიამ დამსწრე წევრების ხმათა სრული უმრავლესობით

გადაწყვიტა:

დამტკიცდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილი სახით.

1.მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 1-ლი საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (წერილი №**12-0318355197-03 21**.12.18 წ)

აღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ;
როგორც მან განმარტა,წარმოდგენილი პროექტით, ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 170 000 000 ათასი (ას სამოცდაათი მილიონი) ლარით და შეადგენს 1 086 863 600 (ერთი მილიარდ ოთხმოცდაექვსი მილიონ რვაას სამოცდასამი ათას ექვსასი) ლარს. მათ შორის: ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება (კოდი 03.00) იზრდება 49 080 900 (ორმოცდაცხრა მილიონ ოთხმოცი ათას ცხრაასი) ლარით და ჯამში შეადგენს 140 287 100 (ასორმოცი მილიონ ორას ოთხმოცდაშვიდი ათას ასი) ლარს; იზრდება გამწვანების ღონისძიებების (კოდი 03 01) პროგრამის ასიგნებები 6 420 400 (ექვსი მილიონ ოთხას ოცი ათას ოთხასი) ლარით; დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) იზრდება 42 725 400 (ორმოცდაორი მილიონ შვიდას ოცდახუთი ათას ოთხასი) ლარით; 2018 წელს დასუფთავების ღონისძიებებზე გამოყოფილი იყო 61 100 000 (სამოცდაერთი მილიონ ასი ათასი) ლარი, მაგრამ 2018 წლის ბიუჯეტის ბოლო ცვლილებებით,ამ კუთხით არის ზრდა 42 725 400 (ორმოცდაორი მილიონ შვიდას ოცდახუთი ათას ოთხასი) ლარით, საიდანაც 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) ლარი წელსვე ნაგავსაყრელების რეაბილიტაციას უნდა მოხმარდეს, ხოლო დარჩენილი თანხა გადადის 2019 წელში, რაც საერთო ჯამში იძლევა ბიუჯეტის ზრდას.

თანამომხსენებელმა (ს. ფიფია) აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს გარემოს დაცვითი მიმართულებით ღონისძიებების უმრავლესობა დასრულებულია და დარჩენილი სამუშაოები 2018 წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სატენდერო პროცედურების 90% არის შესრულებული.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მხრიდან დამატებითი შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 4

წინააღმდეგი: 1

თავი შეიკავა: 0

ქ. თბილისის მუნიციპლიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიამ, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტა:

რეკომენდაცია მიეცეს . „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის ა/წლის 21 დეკემბრის **#12-0318355197-03** წერილით წარმოდგენილი ცვლილებების საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად გატანას.

2. **მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 საკითხი:** “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“

(ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის ა/წლის 12 დეკემბრის #12-0318344134-03 წერილი)

აღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ;

განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა **927 631 500** (ცხრაას ოცდაშვიდი მილიონ ექვსას ოცდათერთმეტი ათას ხუთასი) ლარით, რაც 2018 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან (№6-8 დადგენილება 15.12.2017წ.) მიმართებაში, რომელიც შეადგენდა **861 609 000** (რვაას სამოცდაერთი მილიონ ექვსას ცხრა ათასი) ლარს, გაზრდილია **66 022 500** (სამოცდა ექვსიმილიონ ოცდაორი ათას ხუთასი) ლარით.

კომისიამ, კომპეტენციის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა შემდეგ პრიორიტეტებზე:

1. ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება (კოდი: 03), რომლის ფარგლებშიც 2019 წელს განხორციელდება:
   - გამწვანების ღონისძიებები (კოდი: 03 01) - დაფინანსება: 32 166 500 (ოცდათორმეტი მილიონ ას სამოცდაექვსი ათას ხუთასი) ლარით.
   - დასუფთავების ღონისძიებები (კოდი: 03 02) - დაფინანსება: 51 000 000 (ორმოცდათერთმეტი მილიონი) ლარით.
   - თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (03 03) დაფინანსება: **5 392 000** (ხუთი მილიონ სამას ოთხმოცდათორმეტი ათასი) ლარით.
2. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, რომლის ფარგლებშიც 2019 წელს დაფინანსდება ცხოველთა მონიტორინგის პროგრამა (კოდი: 09 02), **3 158 3**00 (სამი მილიონ ას ორმოცდათვრამეტი ათას სამასი) ლარით. აღნიშნული დაფინანსება 2018 წლის ბიუჯეტის გეგმის იდენტურია და ამ მიმართულებით, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსების ზრდა არ ფიქსირდება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მხრიდან დამატებითი შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე: 4

წინააღმდეგი: 1

თავი შეიკავა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის“ თაობაზე მოსმენილი ინფორმაციის, ასევე, კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადების გათვალისწინებით, კომისიამ

გადაწყვიტა:

1. **რეკომენდაცია მიეცეს** . „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის ა/წლის 21 დეკემბრის **#12-0318355197-03** წერილით წარმოდგენილი ცვლილებების საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად გატანას.

2. **რეკომენდაცია მიეცეს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ ა/წლის 21 დეკემბრის **№12-0318344134-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარე : ერეკლე კუხიანიძე